საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 113

2011 წ. "28" 07

ქ. თბილისი

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 1730-ით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №13 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
იოსებ სალუქვაძე

სხდომის მდივანი
გაიანე სიმონია